19/05/2026

MES 8 26 0000592540

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ ფიფია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

დიმიტრი ცანავა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლა
ნინო ბუჯიაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლა
დარეჯან გიანაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის საჯარო სკოლა
თეონა ურიადმყოფელი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლა
იზა ღიბრაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლა
შორენა ახვლედიანი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ბათუმის №17 საჯარო სკოლა
გელა სირაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის N1 საჯარო სკოლა
ბაქარი ერაგია - სკოლის დირექტორი
შპსს - სკოლა თამარისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
ბადრი ჯაფარიძე - სკოლის დირექტორი
შპს - ბესიკ ნიპარიშვილი-მრავალპროფილიანი სკოლა გიმნაზია
რუსუდან ნიპარიშვილი - სკოლის მენეჯერი;
ნინო ნიპარიშვილი - სკოლის დირექტორის მოადგილე
სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერის საჯარო სკოლა
ნანული მეტრეველი - სკოლის დირექტორი
შპს - აითია კადემია სტეპი
მაკა მახათაძე - სკოლის დირექტორი
ნინო ბეგიაშვილი - - სკოლის საზედამხედველო საბჭოს წარმომადგენელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლა:
ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნესტან გიგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლა,
ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ირმა ხმელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის საჯარო სკოლა
ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ანა კვიჟინაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლა
ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) სოფიკო ანთაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯაროსკოლა
ა)მერი ქვრივიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ)მარიკა კირვალიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ბათუმის №17 საჯარო სკოლა
ა) მერი ქვრივიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ სურმანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის N1 საჯარო სკოლა
ა) ლელა ჯაში (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნათია ფხალაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპსს - სკოლა თამარისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
ა) ლელა ჯაში (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნათია ფხალაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს - ბესიკ ნიპარიშვილი-მრავალპროფილიანი სკოლა გიმნაზია
ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნიკა უთალიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერის საჯარო სკოლა
ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) სოფიკო ანთაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 04 მაისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურისსაჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - ქალაქ ბათუმის №17 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. შპს სკოლა თამარისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
9. შპს ბესიკ ნიპარიშვილი-მრავალპროფილიანი სკოლა გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
10. სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
11. შპს აითი აკადემია სტეპის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეების საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ 2026 წლის 01 მაისის N515696 გადაწყვეტილებაში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენად მითითებული იყო უკრაინული და ქართული, ნაცვლად მხოლოდ ქართულისა. აქედან გამომდინარე, დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგს დამატებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 01 მაისის N515696 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხი.

ასევე, ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეებს ჰქონდათ ტექნიკური ხარვეზი და ითხოვეს სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლისა და შპს ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიან გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის საკითხების ბოლო საკითხებად გადატანა.

საბჭომ გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობები და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 01 მაისის N515696 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურისსაჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - ქალაქ ბათუმის №17 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. შპს სკოლა თამარისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
9. სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
10. შპს აითი აკადემია სტეპის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
12. შპს ბესიკ ნიპარიშვილი-მრავალპროფილიან სკოლა გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 01 მაისის N 5 15696 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეების საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ 2026 წლის 01 მაისის N515696 გადაწყვეტილებაში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენად მითითებული იყო უკრაინული და ქართული, ნაცვლად მხოლოდ ქართულისა. მისი განმარტებით, სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეების საჯარო სკოლა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ახორციელებდა მხოლოდ ქართულ ენაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 01 მაისის N515696 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხი:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 01 მაისის N515696 გადაწყვეტილებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და გადაწყვეტილების დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული;	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი გეგელიძეები.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი გეგელიძეები.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი გეგელიძეები.

2. სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. მან განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დოკუმენტაციის შესწავლის გზით. სკოლა ახორციელებს ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა პირველი სტანდარტის შესაბამისობის შეფასება. შეფასების პროცესში დადასტურდა დაწესებულების მიერ სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება, რითაც დადგინდა რეკომენდაციების შესრულების საკითხი. 2023–2024 წლების სამოქმედო გეგმა სტრუქტურულ მოთხოვნებს შეესაბამებოდა, ხოლო 2024–2025 წლების სამოქმედო გეგმაში არ იყო განსაზღვრული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:40
დასრულების დრო: 15:00

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის სკოლის (ს/კ: 232387761) მონიტორინგთან დაკავშირებით.

3. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დოკუმენტაციის შესწავლის გზით. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა პირველი სტანდარტის შესაბამისობის შეფასება. დოკუმენტების შესწავლის პროცესში დადასტურდა, რომ დაწესებულების მიერ დამტკიცდა სკოლის ხედვა, რითაც სკოლამ განსაზღვრა საკუთარი როლი, როგორც სასკოლო

საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციალურ კულტურული სივრცე. სკოლამ, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შეიმუშავა მისია, ხედვა და ღირებულებები, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, რაც ამავე დროს გააზიარა შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადის ფარგლებში, სკოლამ ასევე უზრუნველყო დამტკიცებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა. დაწესებულებამ შეიმუშავა და დაამტკიცა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრა მიზნები და ამოცანები შესაბამისობის გეგმაში დადგენილ ვადებში. ყოველივე აღნიშნულით დადასტურდა რეკომენდაციების შესრულების საკითხი.
რაც შეეხება ხარვეზს, დარღვეული იყო ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სტრუქტურა. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით არ იყო განსაზღვრული სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის პერიოდულობა და ინსტრუმენტები. სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რაც ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა. პირველი სტანდარტის 1.1. კომპონენტი შეფასდა, როგორც „სრული შესაბამისი“, ხოლო 1.2. კომპონენტი „მეტწილი: შესაბამისობით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:05
დასრულების დრო: 15:20

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის საჯარო სკოლის (ს/კ: 230062044) მონიტორინგთან დაკავშირებით.

4. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დოკუმენტაციის შესწავლის გზით. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა პირველი სტანდარტის შესაბამისობის შეფასება. შეფასების პროცესში გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები: ვინაიდან სკოლას ჰყავს არჩეული დირექტორი სკოლის მიერ შემუშავებული მისიის, ხედვის და ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირად მითითებულია დირექტორი, რაც წინაღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლების მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 -ე ბრძანებასთან, ,,საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“. ასევე, სკოლა ფილოსოფიის დამტკიცების პროცესში არ იცავდა საკუთარი მეთოდოლოგიით დადგენილ წესებს. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით შესაბამისობის გეგმაში სკოლას აქტივობა განსაზღვრული არ ჰქონდა. სკოლის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა ეწინააღმდეგება N785-ე ბრძანებას. სკოლის მიერ შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია პედსაბჭოს მიერ რაც ასევე ეწინააღმდეგება N785-ე ბრძანებას, ექსპერტთა ჯგუფის მიერ N5 და N6 სტრატეგიული მიზნები არ არის ჩამოყალიბებული მკაფიოდ და არ არის განსაზღვრული შესაბამისი ამოცანები, რომელთა თანმიმდევრული შესრულებაც უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას. დაწესებულება სტრატეგიული მიზნების ფორმულირებასა და ამოცანების გადახედვას უზრუნველყოფს მიმდინარე წლის 2026 წლის 15 სექტემბრამდე, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულ იქნა. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ იყო წარმოდგენილი შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი, რეალისტურად უზრუნველყოფადი რესურსები. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრა ხარვეზის აღმოფხვრის პერიოდი რაც გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა. კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით სტანდარტი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა კახაბერ ჩაკვეტაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რა ქმედითი ნაბიჯები გადადგა სკოლამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად.
სკოლის წარმომადგენელი საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:25
დასრულების დრო: 15:40

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის (ს/კ: 230078331) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის 15 სექტემბრამდე, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირის სწორად განსაზღვრის, მეთოდოლოგიით დადგენილი წესების დაცვის, სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცების, სტრატეგიული გეგმის მიზნებთან შესაბამისი ამოცანების სწორად შერჩევის, სამოქმედო გეგმაში შესრულების გაზომვადი ინდიკატორების და რესურსების განსაზღვრის, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროცესის სასკოლო საზოგადოების ჩართულობის, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების სკოლის შემდგომი განვითარების მიზნით გამოყენების მტკიცებულებების წარმოდგენა ცენტრში.

5. სსიპ - იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს

თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მერი ქვრივიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დოკუმენტაციის შესწავლის გზით. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.
ექსპერტმა, მერი ქვრივიშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა პირველი სტანდარტის შესაბამისობის შეფასება. დოკუმენტების შესწავლის პროცესში დადასტურდა, რომ დაწესებულების მიმართ ექსპერტებს პირველ სტანდარტთან მიმართებაში გაცემული რეკომენდაციები სრულად შესრულდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:41
დასრულების დრო: 15:55

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლის (ს/კ: 235443926) მონიტორინგთან დაკავშირებით.

6. სსიპ - ქალაქ ბათუმის №17 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს

წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მერი ქვრივიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დოკუმენტაციის შესწავლის გზით. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.
ექსპერტმა, მერი ქვრივიშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა მესამე სტანდარტის 3.1, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტების შესაბამისობის შემოწმება. 3.1 კომპონენტი შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება“, ხოლო დანარჩენი კომპონენტები შეფასდა „სრული შესაბამისობით“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბათუმის №17 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:58
დასრულების დრო: 16:13

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ ბათუმის №17 საჯარო სკოლის (ს/კ: 245429567) მონიტორინგთან დაკავშირებით.

7. სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ჯაშმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დოკუმენტაციის შესწავლის გზით. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა პირველი სტანდარტის შესაბამისობის შემოწმება. დოკუმენტების შესწავლის პროცესში დადგინდა, რეკომენდაცია რომელიც სკოლის მიმართ იყო გაცემული ეხებოდა სამოქმედო გეგმის კორექტირების საკითხს, გეგმაში არ იყო მოცემული გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც იქნებოდა რეალისტური. აღნიშნული რეკომენდაცია სკოლის მიერ სრულად შესრულდა. თუმცა წარმოების ფარგლებში შემოწმებული პირველი სტანდარტი, სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები არ იყო შესაბამისი სტანდარტთან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე არ დასტურდებოდა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებული იყო სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. მტკიცებულებები სკოლის მხრიდან წარმოდგენილი არ იყო და ვერ იქნა დადასტურებული სასკოლო საზოგადოების ჩართულობის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

ეკატერინე წიფურიამ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ლელა ჯაშს, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას დამატებითი დოკუმენტები წარმოდგენილი.
ლელა ჯაშმა აღნიშნა რომ მათ ჰქონდათ დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვის შესაძლებლობა, სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა კითხვარები, რომლითაც სასკოლო საზოგადოების ჩართავს ზემოაღნიშნულ საკითხებში.
სკოლის დირექტორმა, ბაქარ ერაგიამ, აღნიშნა, რომ სკოლამ შეცდომა დაუშვა და არ უწარმოებია ყველა შეხვედრის ოქმი, შესაბამისად ვერ მოხდა მტკიცებულების სახით ექსპერტებისთვის მიწოდება. სასკოლო საზოგადოებამ შეიმუშავა მარტივი მისია, რაც ამარტივებდა პროცესს.
ეკატერინე წიფურიამ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს ჰქონდა თუ არა სკოლას დაწყებული მუშაობა ხარვეზების გამოსწორების კუთხით.
სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ თხუთმეტი მაისიდან სკოლა აქტიურად დაიწყებდა მუშაობას ხარვეზის გამოსწორებაზე.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის N1 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:18
დასრულების დრო: 16:33

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის N1 საჯარო სკოლის (ს/კ: 215108309) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის 15 სექტემბრამდე სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავებისა და მათი უკუკავშირის სკოლის ფილოსოფიაში ასახვის მტკიცებულებების წარმოდგენა ცენტრში.

8. შპს - სკოლა თამარისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ჯაშმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის

პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დოკუმენტაციის შესწავლის გზით. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. დოკუმენტების შესწავლის პროცესში შეფასდა პირველი და მეოთხე სტანდარტი. პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“ ხოლო მეოთხე სტანდარტი „სრულად შესაბამისი“. სკოლის სახელწოდებასთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები სრულად აღმოფხვრა სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსიებამდე, რაც დადასტურდა შესაბამისი ამონაწერით. აგრეთვე უნდა აღინიშნოს რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები საჯაროა რაც დადასტურდა ოფიციალური ვებგვერდის დათვალიერებით. ასევე სკოლის მიმართ გაიცა რამდენიმე რჩევა, რომელიც მას დაეხმარება განვითარებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
ეკატერინე წიფურიამ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, სკოლაში თვითმართველობის ეფექტიანობასთან დაკავშირებით. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოსწავლეები ნაკლებად იჩენდნენ ინიციატივას, შესაბამისად, სკოლამ განახორციელა რამდენიმე აქტივობა, სადაც ჩაერთნენ მოსწავლეები.
საბჭოს წევრმა ნინო ბერიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, კითხვა ეხებოდა არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილ ღონიძიებებს, კერძოდ, დოკუმენტურად თუ ფიქსირდებოდა სკოლაში მსგავსი აქტივობა.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულება აღნიშნული მიმართულებით აქტიურად მუშაობდა, თუმცა მოსწავლეებისა და მშობლების მხარდაჭერა არასაკმარისი იყო.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა თამარისში სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:40
დასრულების დრო: 16:55

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს

ადმინისტრაციული წარმოება შპს სკოლა თამარისის (ს/კ: 446966025) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

საბჭოს გადაწყვეტილებით მეოთხე სტანდარტის ფარგლებში გაცემული რჩევები რეკომენდაციის სახით განესაზღვრა სკოლას, რაც უშუალოდ მოსწავლეთა მხარდაჭერის საკითხებს ეხებოდა. სტრატეგიული გეგმის ფარგლებში მოსწავლეთა ჩართვა სხვადასხვა სახის აქტივობაში და ინფორმირების სახით 2026 წლის 15 სექტემბრამდე შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა ცენტრში.

9. სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დოკუმენტაციის შესწავლის გზით. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა პირველი სტანდარტის შესაბამისობის შეფასება. დოკუმენტების შესწავლის პროცესში გამოიკვეთა ოთხ ინდიკატორთან მიმართებით ხარვეზი, არგუმეტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე დაწესებულებამ წარმოადგინა პოზიცია თუმცა ექსპერტების მიერ პოზიციის გაზიარება არ მომხდარა. ვინაიდან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობები არ იყო რელევანტური.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:00
დასრულების დრო: 17:13

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერის საჯარო სკოლის (ს/კ: 237981190) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის 15 სექტემბრამდე, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცების, მეთოდოლოგიის დოკუმენტში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირის სწორად განსაზღვრის, სტრატეგიულ გეგმაში ამოცანების სწორად განსაზღვრის (ეფექტიანი დაგეგმვისა და შედეგების სრულფასოვანი შეფასების მიზნით), ერთწლიანი გეგმაში ამოცანების, შესრულების გაზომვადი ინდიკატორებისა და რესურსების განსაზღვრის მტკიცებულებების წარმოდგენა ცენტრში.

10. შპს - აითი აკადემია სტეპის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, შპს აითი აკადემია სტეპს განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, 2025 წლის ნოემბერში ცენტრში წარმოედგინა 3.4 კომპონენტის გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო, სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში, წარმოედგინა მესამე სტანდარტის 3,5 და 3.6 კომპონენტების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის წარმომადგენელმა, ნინო ბეგიაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტთან მიმართებით. დაწესებულების მხრიდან ყველა რეკომენდაცია იქნა გათვალისიწინებული და შესრულებული. სკოლამ ვიდეომონიტორინგის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი შეიძინა, რაც დადასტურებული იყო შესაბამისი დოკუმენტებით, აგრეთვე შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციით დადგენილი მოთხოვნების დაცვით მოხდა ექიმის აყვანა, ასევე უნდა აღინიშნოს რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაც შეთანხმდა შესაბამის კომპეტენტურ ორგანოსთან.

დაწესებულებამ უზრუნველყო სამინისტროს ბრძანების შესაბამისად ექიმის კაბინეტის მოწყობა, სკოლის ახალ შენობაში სახანძრო უსაფრთხოების საკითხიც მოწესრიგდა შესაბამისი ორგანოს ჩართულობით. საბიბლიოთეკო რესურსების კუთხით კი კატალოგი სრულად შემუშავდა. დოკუმენტბრუნვის მუშაობის პროცესიც დაწესებულებამ გააუმჯობესა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

11. სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დოკუმენტაციის შესწავლის გზით. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა პირველი და მესამე სტანდარტის 3.1, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტების შესაბამისობის შეფასება. პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „სრულად შესაბამისი“, ხოლო მესამე სტანდარტი კი „ნაწილობრივ შესაბამისი“. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისი ვადების დაცვით სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისა. ასევე სკოლის მიმართ იყო გაცემული რეკომენდაცია, სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობების გაწერასთან დაკავშირებით, რაც ასევე შესრულდა დაწესებულების მხრიდან.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია, სკოლის შინაგანაწესში ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით რითიც დარეგულირდებოდა თანამშრომელთა მიღების წესის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა, რაც ნაწილობრივ შესრულდა. სკოლამ თანამშრომლის მიღების წესი ასახა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. ასევე რეკომენდაცია იყო გაცემული პერსონალის მიერ სავალდებულოდ წარმოსადგენ ცნობებთან დაკავშირებით რაც დაწესებულების მხრიდან სრულად შესრულდა.
სკოლის მხრიდან არ შერულდა 3.4.1.1. რეკომენდაცია დაწესებულებამ აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ასევე წარმოდგენილ იქნა პერიმეტრის ლიფტით ან პანდუსით მოწყობის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც არ შესრულდა, ამავე დროს ექსპერტების მხრიდან გაიცა მთელი რიგი რჩევები რომელიც დაეხმარება სკოლას განვითარებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაუყოვნებლივ შესასრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით რომელიც ეხება ექსპლუატაციის დასკვნას.
სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა რომ შესაბამისობის გეგმის მიხედვით აქტიურად ახორციელებენ მიმოწერას შესაბამისი ორგანოს წარმომადგენლებთან, რასაც გარკვეული რეაგირებაც მოჰყვა.
საბჭოს წევრმა ეკატერინე წიფურიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და ითხოვა დაზუსტება თარიღის, რომელიც ეხებოდა სკოლის კამერებით აღჭურვას.
სკოლის დირექტორმა, დარეჯან გიანაშვილმა, აღნიშნა რომ შესაბამისი პირებისგან ჰქონდა ინფორმაცია ვადის დაცვის საკითხზე.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:40
დასრულების დრო: 17:55

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლის (ს/კ: 232387663) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2027 წლის ივნისამდე სკოლის ტერიტორიის სრულად შემოღობვის, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დადებითი დასკვნის, ვიდეო სათვალთვალო სისტემის დამონტაჟებისა და 2028 წლის თებერვალში ინკლუზიური გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა ცენტრში.

12. შპს - ბესიკ ნიპარიშვილი მრავალ პროფილიან სკოლა გიმნაზიაში განხორციელებული

მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა.ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არა გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 20 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განმარტა, რომ მონიტორინგის ვიზიტს საფუძვლად დაედო წერილი, რომელიც ანონიმურად მიიღო რესურსცენტრმა. წერილის შინაარსიდან გამომდინარე, არსებობდა სკოლის მხრიდან ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევის რისკი.
სკოლაში განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში, სკოლა მომზადებული დახვდა ექსპერტთა ჯგუფს და საკითხის მოკვლევის პროცესში უზრუნველყო თანამშრომლობა.
სკოლამ მოიპოვა თანხმობა მოსწავლეებთან გასაუბრების ნაწილში, მოსწავლეებმა ნაწილობრივ დადასტურეს წერილში აღნიშნული ფაქტი, თუმცა ასევე აღნიშნეს, რომ ისინი აღნიშნულს თამაშის ფორმად აღიქვამდნენ და შესაბამისად, ვერ აცნობიერებდნენ საკითხის სიმძიმეს.
 რაც შეეხება მომჩივან მშობელს მან არ ითანამშრომლა ექსპერტებთან.
მონიტორინგმა აჩვენა რომ სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა მშობლებთან, სკოლის მხრიდან გატარებული სხვადასხვა ღონისძიება ემსახურებოდა მსგავსი საკითხების მიმართ დაუყოვნებლივ რეაგირებასა და აღმოფხვრას. ღონისძიებები კვლავ გრძელდებოდა, რასაც სკოლა ადასტურებდა შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენით.
მონიტორინგის შედეგები ცხადყოფდა, რომ სკოლა ფუნქციონირებდა უსაფრთხო და მხარდამჭერი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფაზე ორიენტირებული სისტემური და თანმიმდევრული მართვის პრაქტიკით, რომელიც შეესაბამებოდა ავტორიზაციის მოქმედ სტანდარტებს და არ იკვეთებოდა მათი დარღვევის ფაქტი. ამასთანავე, გარემოს ეფექტიანობისა და მდგრადობის შემდგომი განმტკიცების მიზნით, მიზანშეწონილი იყო პრევენციული მექანიზმების გაღრმავება, მათი სისტემური შეფასება და უწყვეტი გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფდა არსებული პრაქტიკის განვითარებას და რისკების მართვას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

სკოლის წარმომადგენელმა, რუსუდან ნიპარიშვილმა, აღნიშნა რომ სკოლა პირველივე დღიდან ჩაერთო პროცესში და ზრუნავდა მოსწავლეთა ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე. დაწესებულებამ განახორციელა არაერთი შემეცნებითი ღონისძიება, რითიც ხელი შეუწყო სასკოლო საზოგადოების განვითარებას.
 საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბესიკ ნიპარიშვილი-მრავალპროფილიანი სკოლა გიმნაზიაში მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 18:00
დასრულების დრო: 16:10

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბესიკ ნიპარიშვილი-მრავალპროფილიანი სკოლა - გიმნაზიის (ს/კ: 232539269) მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 18: 15 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე